ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 330

“ _15_ ” _სექტემბერი 2017 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.351) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 9 მარტის №10 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 აგვისტოს №04/9161 წერილის (AR1523348; AR1480994) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.351) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1523348 და AR1480994 განაცხადების შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**





ღიობების წარმოსახვითი სიბრტყე ჯვეთზე 3-3



სიმაღლის სქემა ჯვეთზე 1-1



ღიობების წარმოსახვითი სიბრტყეები ჯვეთზე 2-2

1	
სზ.-6	H მაქს. 14 ს.
ჯ1 = 0.5	ჯ2 = 2.5
ჯ3 = 0.2	

2	
სსზ.-1	H მაქს. 9 ს.
ჯ1 = 0.7	ჯ2 = 3.5
ჯ3 = 0.3	

№	ფართი	ჯ-1	ჯ-2	ჯ-3	ფუნქციური ზონა	მაქს. სართ.	სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობა	გეგმარებითი ერთეულების ფუნქციები	ფუძ. ერთეგვა-რობების / მერეულობის წილი (%)
1	5964	0.5	2.5	0.2	სზ-6	14-ს	ღია	საცხოვრებელი კომერციული	78 % 22 %
2	2466	0.7	3.5	0.3	სსზ-1	9-ს	ღია	საოფისე კომერციული	42 % 58 %

ჰირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- მიწის ნაკვეთების საზღვრები
- ზონებს შორის საზღვარი
- განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი
- გამწვანება
- შენობები
- საავტომობილო გზები
- ტრანსპორტის მოძრაობის სქემა
- ქვეითთა საცალი ნაწილი
- სერვიტუტები

ნაკვეთი №1 საცხოვრებელი ფართი - 11710 კვ.მ.
კომერციული ფართი - 3200 კვ.მ.

ნაკვეთი №2 საოფისე ფართი - 3651 კვ.მ.
კომერციული ფართი - 4980 კვ.მ.

მიწისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა - 134
მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა - 19

შ.პ.ს. "არქიტექტურა, კონსტრუქცია" --- "აკე" ლიცენზია № 4150

დირექტორი		თ.ბაკურიძე
ავტორი		თ.ბაკურიძე

ბანაშენიანების რეგულირების გეგმა
ალკაზების №34

რეგულირების გეგმა მ. 1:500